



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის  
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის  
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

### მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 15 ოქტომბერი, 2018 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: მწვანეთ მოძრაობის ოფისი.

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მანანა დევიძე - ფონდი „კავკასიის ეკოლოგია „
2. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
3. თამაზ ვაშაკიძე - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
4. დათო ჭიპაშვილი - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“
5. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
6. გიორგი აბულაშვილი - ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
7. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
8. ნინო მგალობლიშვილი - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისთვის
9. რუსუდან სიმონიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო
10. ნუგზარ კოხრიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
11. ნატო არღვლიანი - საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
12. გიორგი ძამუკაშვილი - ფონდი „ადგილის დედა“

## განსახილველი საკითხები:

1. წყლის კანონპროექტთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;
2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსში შესატანი ცვლილებების შესახებ;
3. ჯგუფის წევრი ორგანიზაციების მიერ ჰესებზე მომზადებული წერილების განხილვა;
4. აჭარიდან ახალი ორგანიზაციის გაწევრიანება ეროვნული პლატფორმის მე-3 სამუშაო ჯგუფში;
5. სხვა მიმდინარე საკითხები.

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა მანანა დევიძემ, რომელმაც ჯგუფის წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

პირველ საკითხად განხილული იყო წყლის კანონპროექტი, რომელზეც უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს მუშაობა და ჯერ არ არის მიღებული. როგორც ჯგუფის კოორდინატორმა აღნიშნა, კანონპროექტთან დაკავშირებით არსებობს ბევრი კითხვა და არის გაუგებარი საკითხები. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ აღნიშნული კანონის შესაბამისად პასუხისმგებლობა კანონში არსებული პუნქტების შესრულებაზე გადააწილებულია 5 სამინისტროზე. შესაბამისად პრობლემურია ის საკითხი, რომ არ არსებობს ინფორმაცია, თუ ვინ როგორ ინაწილებს ამ პასუხისმგებლობებს. ქალბატონმა მანანამ დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია, რომ იგეგმება შეხვედრა ამ სამინისტროების წარმომადგენლებთან და ისინი ჩვენგან ელიან შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენას.

შეხვედრაზე დამსწრე ორგანიზაციებმა, რომლებიც მუშაობენ აღნიშნული მიმართულებით, განიხილეს ის ძირითადი საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია აღნიშნულ კანონპროექტში. განსაზღვრეს ის პრობლემური სფეროები, რომლებიც დახვეწას საჭიროებს. ქალბატონმა ნინო ჩხოზაძემ შესთავაზა ჯგუფის წევრებს, რომ ერთობლივად შეიმუშაოს მესამე სამუშაო ჯგუფმა საპროექტო წინადადება, რომელშიც დეტალურად იქნება ასახული ის შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც წევრ ორგანიზაციებს გააჩნიათ. და აღნიშნული წინადადება გადაეგზავნოს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს, ქალბატონ თამარ ხულორდავას, დანართის სახით.

მეორე საკითხად, განხილულ იქნა გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსში შესატანი ცვლილებების საკითხი. ქალბატონმა, ნინო ჩხოზაძემ დეტალურად ისაუბრა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ინიცირებული ცვლილებების შეტანის შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსში. იგი მიიჩნევს, რომ ეს ცვლილებები გამოიწვევს ევროკავშირის მიერ მიღებული დირექტივების შესრულებისგან გადახვევას, და მიიჩნევს,

რომ თუ მოხდება აღნიშნულ კანონპროექტში ინიცირებული ცვლილებების შეტანა, ეს იქნება უკან გადადგმული ნაბიჯი. ქალბატონმა ნინომ მესამე სამუშაო ჯგუფს შესთავაზა რომ მომზადდეს მოთხოვნა და გადაეგზავნოს კომიტეტს, რომ ამ კანონპროექტის მოსმენა იყოს საჯარო და მათ მოისმინონ ის მოსაზრებები რომლებიც გააჩნია მესამე სამუშაო ჯგუფს და ცალკეულ ორგანიზაციებს აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით, მანამ სანამ მოხდება ამ კანონპროექტის გადაგზავნა მთავრობაში განსახილველად.

მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ფარგლებში, ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ისაუბრეს და გაუზიარეს ერთმანეთს თავიანთი საქმიანობები, რომლებსაც ისინი ახორციელებენ საქართველოში ჰესებთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებზე. აღნიშნული საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის, შესაბამისად წევრ ორგანიზაციას, რომელსაც წარმოადგენს ბატონი თამაზ ვაშაკიძე, შემუშავებული და გადაგზავნილი აქვს შესაბამისი წერილები და საპროექტო წინადადებები, რომლებიც აღწერენ უარყოფით შედეგებსა და ტენდეციებს აღნიშნულ საკითხზე. იგი გაუზიარებს მესამე სამუშაო ჯგუფის წევრებს განაცხადის საბოლოო ვერსიას და მნიშვნელოვნად მიიჩნევს მათ მხარდაჭერას და შემოერთებას. აღნიშნულ წინადადებებთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები გააჩნია ბატონ ვახტანგ ზარქუას. იგი მიიჩნევს, რომ ჰესების მშენებლობის კუთხით მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ეკონომიკური და ტექნიკური საკითხებიც.

სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა მანანა დევიძემ, ჯგუფის წევრებს გაუზიარა ინფორმაცია ეროვნულ პლატფორმაში გაწევრიანებული ახალი ორგანიზაციის შესახებ, რომელიც შემოუერთდება მესამე სამუშაო ჯგუფს და აქტიურად ჩაერთვება ჯგუფის მუშაობაში.

დამატებით საკითხებში განიხილეს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ყოველწლიური რიგით მე-10 შეხვედრის ჩატარების საკითხი. ქალბატონმა მანანამ, წარმოდგენილ საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია დელეგატების შერჩევის პროცესზე. ასევე გააცნო ის სიახლე, რომელიც ეხება დამატებითი 30 კაციანი სიის შედგენას. ამ სიაში მოხვედრილი პირები შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ ფორუმში, თუმცა ხმის უფლების გარეშე.

ბატონმა ვახტანგ ზარქუამ თავისი უკმაყოფილება გამოთქვა კენჭისყრის პროცესების მიმართ. იგი განმარტავს, რომ ეროვნულ პლატფორმაში დელეგატების წევრების შერჩევის პროცესი მისთვის არის მიუღებელი. ასევე მისთვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის სისტემა, რომლის მიხედვითაც მოხდება დამატებითი სიების ფორმირება.

ენერგოეფექტურობის ფონდის ხელმძღვანელს, ბატონ, ვახტანგ ზარქუას მომზადებული და კომიტეტში გადაგზავნილი აქვს განცხადება, რომელიც გამყარებულია არგუმენტაციით და თანდართული დოკუმენტებით და ეხება ენერგეტიკულ პოლიტიკაში პრობლემური საკითხების არსებობას. მან მოუწოდა იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც მიაჩნიათ რომ ამ

მიმართულებით არსებობს პრობლემები და ენერგეტიკული პოლიტიკაგადახედვას საჭიროებს, მოამზადონ თავიანთი წინადადებები და გადააგზავნონ პარლამენტში. ამ ქმედებით ისინი დაეხმარებიან ერთიანი პროცესის დაჩქარებას.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი : ქეთევან ჭურაძე